



ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი



„რუსთაველი საქართველოს საკვიფრის ბაიათია მსოფლიოში“

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტში, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა, პროფესორმა ზვიად გაბისონიამ, ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა საერთაშორისო ურთიერთობებში, პროფ. როლფ ვან დიკმა, ფრანკფურტში საქართველოს გენერალურმა კონსულმა ლევან დიასამიძემ და ცნობილმა გერმანელმა ქართველოლოგმა, ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის მმართველმა

დირექტორმა, პროფ. იოსტ გიპერტმა ენათმეცნიერებისა და კულტუროლოგიის ფაკულტეტზე შოთა რუსთაველის კაბინეტი გახსნეს. კაბინეტის გახსნის იდენი ავტორმა, ფრანკფურტის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის კავკასიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფ. მანანა თანდაშვილმა წარმოადგინა უნიკალური პროექტი: „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების პარალელური კორპუსი“, რომლის მიზანია პოემის ქართული და თარგმნილი ტექსტის დიგიტალიზაცია და ქართული კულტურისა და ლიტერატურის პოპულარიზაცია. გახსნის საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ ფრანკფურტში მოღვაწე და სხვა უცხოელი ქართველოლოგები. ზვიად გაბისონიამ და როლფ ვან დიკმა ისაუბრეს რუსთაველის ფონდსა და ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების პერსპექტივებზე. ამ მოვლენის, ქართველოლოგიური კვლევების მნიშვნელობისა და სამომავლო გეგმების შესახებ გვესაუბრნენ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ზვიად გაბისონია, ცნობილი ქართველოლოგი,

ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი იოსტ გიპერტი და ამავე უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის კავკასიოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი მანანა თანდაშვილი.

„ქართველოლოგიური სახელმწიფოებრივი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა“

– შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, ზვიად გაბისონია.

ქართველოლოგიური კვლევების მიმართულება რუსთაველის სამეცნიერო ფონდისთვის და, ზოგადად, სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიმართულებით მომავალი წლიდან ვგეგმავთ მიზნობრივი კვლევების დაფინანსებას. ასევე, გვაქვს დიდი სურვილი და ინტერესი, რომ მხარი დავუჭიროთ საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველოლოგებს, ქართველოლოგიურ ცენტრებს, ინსტიტუტებს, რომლებიც მთელ მსოფლიოშია გაბნეული: გერმანიაში, ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტში, სადაც დიდი სიამაყით გავხსენით რუსთაველის კაბინეტი; იენის უნივერსიტეტში; ბელგიის ლუვენის უნივერსიტეტში; ასევე, საფრანგეთსა და იაპონიაში, სადაც წარმატებით მუშაობენ ქართველოლოგები...

სამწუხაროდ, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით სტაგნაცია იყო და ახლა ვაპირებთ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას. ეს არის პასუხი ყველა დიდ გამოწვევაზე, ყველა იმ ქმედებაზე, რაც საქართველოს წინააღმდეგ არის მიმართული. მაგალითად, რუსეთის პრეზიდენტ პუტინის განცხადება, – საქართველოს ისტორიის გაყალბების ამკარა მცდელობა, რაზეც ჩვენ კონკრეტული პასუხები გვაქვს და სწორედ ამ პასუხებს სჭირდება სამეცნიერო დასაბუთება. ამიტომაც, ძალზე მნიშვნელოვანია ქართველოლოგიური კვლევების განვითარება-გაძლიერება. მხარდაჭერა მრავალმხრივი იქნება: გამოცხადდება მიზნობრივი საგრანტო კონკურსები და

პროექტები ქართველოლოგიური კვლევების მიმართულებით საზღვარგარეთ. მიმდინარე წლის შემოდგომიდან ვიწყებთ ისტორიული რუკების, ატლასების გამოცემას ინგლისურ, გერმანულსა და ფრანგულ ენებზე ისტორიის გაყალბების მცდელობების წინააღმდეგ. საზღვარგარეთ მოქმედ ცენტრებს, ქართველოლოგიურ ინსტიტუტებს დავხმარებით საგამომცემლო საქმიანობაშიც; ახლა ვეძებთ გზებს მათთვის სხვა სახის ფინანსური დახმარების აღმოსაჩენადაც, რადგან საკანონმდებლო დონეზე ამ მხრივ საკმაოდ შეზღუდვებია... შეიძლება წავიდეთ საკანონმდებლო ცვლილებების გზითაც, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მიზანმიმართულად გავაძლიეროთ საზღვარგარეთ მოქმედი ქართველოლოგიური ცენტრები. ეს სახელმწიფოებრივი, ეროვნული მნიშვნელობის საკითხია.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები უნიკალური ჩასუნიკალი ეპიკური ენათმეცნიერებისთვის“

– ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი იოსტ გიპერტი.

შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიოს 55 ენაზეა თარგმნილი და ამ თვალსაზრისით უნიკალურია. ამდენ ენაზე ცოტა ლიტერატურული ნაწარმოები თუ არის თარგმნილი, ამიტომ ეს არის სრულიად უნიკალური ინტერდისციპლინური რესურსი ემპირიული ენათმეცნიერებისთვის, თარგმანმცოდნეობისთვის, პოეტოლოგიისთვის მსოფლიო მასშტაბით. ამდენ ენაზე მხოლოდ ჰომეროსის ეპოსებია თარგმნილი. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია რუსთაველის ორიგინალური ტექსტისა და მისი თარგმანების ციფრულ ფორმატში გადატანა. რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოს, მისი კულტურის და სულიერების სავიზიტო ბარათია მსოფლიოში.

ჭერჭერობით „ვეფხისტყაოსნის“ მხოლოდ ერთი თავია გადატანილი ციფრულ ფორმატში 17 ენაზე, ესენია: ქართული, გერმანული, ინგლისური, ფრანგული, რუსული,

იტალიური, თურქული, სომხური, კორეული, ესპანური, ჩეხური, აზერბაიჯანული, უკრაინული, ბელარუსული, ქურთული და ქართველური ენები – მეგრული, სვანური.

ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტი ერთ-ერთი პიონერი ენობრივი ციფრული ბაზების შექმნის თვალსაზრისით. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში დავიწყებულ ციფრული ბაზების შექმნა. ინტერნეტპორტალი „ტიტუსი“ აერთიანებს ინდოევროპული ენებისა და მასალების თეზაურუსს. ამ პორტალზე უამრავი ენის მასალებია ატვირთული. შესაბამისად, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, ლინგვისტურ საკითხებს დიგიტალური მეთოდების გამოყენებით ვიკვლევთ, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში იმიტომ, რომ დღეს ციფრულ სამყაროში ვცხოვრობთ, მეორე მხრივ კი, როდესაც საქმე გაქვს უამრავ ენაზე არსებულ უამრავ ტექსტთან, რომელიც მთელ მსოფლიოშია გაბნეული, მეცნიერისთვის მუშაობა რთულია, მაგრამ როდესაც იქმნება ელექტრონული ბიბლიოთეკა ერთ ვირტუალურ სივრცეში და კაბინეტიდან გაუსვლელად ნებისმიერ ტექსტზე გაქვს წვდომა, ეს საქმეს აადვილებს. ჩვენ 2000 წლიდან დავიწყებულ კავკასიურ ენებზე არსებული მასალების დიგიტალიზაცია; პირველი პროექტი იყო „არმაზი“. ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართველ მეცნიერებთან აქტიურად ვთანამშრომლობდით. სულ 12 პროექტი განვახორციელეთ და 300-მდე ქართველი სპეციალისტი იყო ჩართული ამ პროცესში. პროექტები, ძირითადად, „ფოლკსგაგენის“ ფონდმა დააფინანსა, თუმცა დაფინანსებაში ასევე ჩართული იყო შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდიც; ამ პროექტების საფუძველზე შეიქმნა ქართული ენის ეროვნული კორპუსი, რომელიც მოიცავს ყველაფერს, რაც ქართულ ენაზეა დაწერილი, უძველესი ქართული ტექსტებიდან მოყოლებული XIX საუკუნის ჩათვლით. მათ შორისაა გამოუქვეყნებელი ხელნაწერებიც. ენის ეროვნული კორპუსი არის სახელმწიფო ენისათვის შექმნილი ვირტუალური სივრცე. უკანასკნელი მიმდინარე პროექტი, რომელზეც ახლა ვმუშაობ, ათონის ივერთა მონასტერში ქართული ხელნაწერების კოლექციის აღწერაა. დღეისათვის უკვე გადაღებული და დიგიტალიზებულია ივერთა მონასტერში დაცული ყველა ქართული ხელნაწერი. ეს პროექტი თბილისის სახელმწიფო



„ციფრული ქართული ენობრივი ბაზების შექმნის თვალსაზრისით“

უნივერსიტეტსა და საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან ერთად ხორციელდება. ქართული ენის ციფრული რესურსები, ქართული ენის ეროვნული კორპუსის სახით, უკვე საშუალებას გვაძლევს, სისტემურად ვიკვლიოთ ქართული ენის ისტორიული განვითარების ასპექტები.

მნიშვნელოვანია, რომ ქართველოლოგიით უმეტესად დაინტერესებულნი არიან თეოლოგიის მიმართულებით მომუშავე ახალგაზრდები, რადგან არსებობს მათთვის მნიშვნელოვანი ტექსტები, რომლებიც მხოლოდ ქართულ ენაზეა შემონახული. თუმცა, ენათმეცნიერებთანაც არიან დაინტერესებული ახალგაზრდები – ამჟამად 20-მდე სტუდენტი სწავლობს კავკასიოლოგიას, ძირითადად, ქართველოლოგიას. კავკასიოლოგიაზე სწავლა „ძვირია“ გერმანელებისთვის – ახალგაზრდამ, სტუდენტმა იცის, რომ თუ კავკასიოლოგიაზე გააკეთებს არჩევანს, მეცნიერებაში უნდა დარჩეს. სხვაგან ვერ დასაქმდება, ვთქვათ, იმავე თურქოლოგიისგან ან სლავისტიკისგან განსხვავებით. ეს, ერთი მხრივ, კარგია, რადგან ჩვენთან მოტივირებული და მიზანმიმართული სტუდენტები მოდიან. შესაბამისად, შედეგიც სათანადო გვაქვს: 11 დოქტორანტი გვყავს კავკასიოლოგიაში, მათგან რვამ უკვე დაიცვა დისერტაცია, ძირითადად, ქართველოლოგიაში. ჩვენთან ამჟამად სწავლობს ახალგაზრდა ინგლისელი, რომელიც ქართულ ენას ჩვენს ინსტიტუტში დაეუფლა. გვყავს ასევე ახალგაზრდა დოქტორანტი სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ჩვენი ცენტრი ევროპაში წამყვან ცენტრად ითვლება, რადგან კავკასიოლოგიის შესწავლისა და კვლევის ფართო სპექტრი გვაქვს, ძველი ქართულიდან დანერგული, კავკასიური ენების ჩათვლით.



რუსთაველის კაბინეტის გახსნა ფრანკფურტის უნივერსიტეტში კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს არის ცენტრი დიდი მიზიდულობის ძალით, მდიდარი ქართველოლოგიური ბიბლიოთეკით (15 000-მდე წიგნით), ასევე სხვადასხვა ენაზე არსებული ციფრული რესურსებით, მათ შორის რუსთაველის გენიალური პოემით. აქ ჩვენ საუკეთესო პირობებს ვუქმნით მაგისტრანტებს, დოქტორანტებს, ყველას, ვინც ფრანკფურტში კავკასიოლოგიის, ქართველოლოგიის სფეროში სამუშაოდ ჩამოდის.

ასევე, 2008 წელს ქალბატონმა მანანა თანდაშვილმა ფრანკფურტში დააარსა ლიტერატურული საღამო ჩატარდა; 70 მწერალი იყო მოწვეული საქართველოდან, ახლა კი რუსთაველის კაბინეტში გვინდა გადავიტანოთ ეს სალონური საღამოები, რომ მათ უფრო აკადემიური სახე მიეცეს. ახალ თაობას უკვე ძალიან ბევრი შესაძლებლობა აქვს.

მახსოვს, მე რომ ვინცებდი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ არსებობდა ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო გერმანულ ენაზე, რომელიც გერმანიაში მცხოვრები ცნობილი მეცნიერის, კიტა ჩხენკელის მიერაა შედგენილი. მანვე შეადგინა ქართულ-გერმანული და გერმანულ-ქართული ლექსიკონები. ამ ბაზაზე დაფუძნებით

შოთა რუსთაველის კაბინეტის გახსნა, ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი. მარცხნიდან მარჯვნივ: გერმანელი ქართველოლოგი, ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის მმართველი დირექტორი, პროფ. იოსტ გიმერტი; ფონდის გენერალური დირექტორი პროფ. ზვიად გაბისონია; ფრანკფურტის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის კავკასიოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფ. მანანა თანდაშვილი; ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ვიცერექტორი, პროფ. როლფ ვან დეიკი; ფრანკფურტში საქართველოს გენერალური კონსული ლევან დიასამიძე.

დავინყე ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლა. ამ წლების განმავლობაში არაერთ ქართველ მეცნიერთან მომიწია მუშაობა, ვთანამშრომლობდი და ვთანამშრომლობ მათთან.

„50 ენაზე წავიკითხეთ ფრანკფურტი“ „ვეფხისტყაოსნიდან“

– ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის კავკასიოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი მანანა თანდაშვილი.

რუსთაველის პოემის დიგიტალიზაციისა და 50-ენოვანი პარალელური კორპუსის შექმნის იდეა რამდენიმე წლის წინ გამიჩნდა. შარშან ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე



ფრანკფურტის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის კავკასიოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფ. მანანა თანდაშვილი და გერმანელი ქართველოლოგი, ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის მმართველი დირექტორი, პროფ. იოსტ გიბერტი ქართული ხელნაწერების ვიტრინასთან.

საქართველოს საპატიო სტუმრის სტატუსი ჰქონდა და რადგან ჩვენს უნივერსიტეტში კავკასიოლოგიის მიმართულება გვაქვს, უნივერსიტეტში წლების წინ დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ რითი ნარვდგებოდით წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე. ჩვენი ინსტიტუტი აერთიანებს 17 მიმართულებას; კავკასიურის გარდა, ვასწავლით სინოლოგიას, იაპონოლოგიას, აფრიკულ ენებს და სხვა. ასე რომ გადავწყვიტე, ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტებთან ერთად სხვადასხვა ენაზე წავგვეკითხა ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუში – რუსთაველის გენიალური პოემა. თავდაპირველად, ჩავატარეთ სამსაათიანი ლიტერატურული მართონი და 50 ენაზე წავიკითხეთ ფრაგმენტები პოემიდან. ამ პროექტში ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ და ამიტომ ღონისძიებაც თსუ-სა და ჩვენს უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიალს დავამთხვიეთ.

შემდეგ ეს მასშტაბური პროექტი, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფარგლებშიც „გავიმეორეთ“. ამ პროექტზე მუშაობისას აღმოვაჩინეთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები მოცულობით მეტ-ნაკლებად განსხვავებული იყო, თარგმანების სტროფების თანმიმდევრობა არ ემთხვეოდა ქართულ აკადემიურ ტექსტს, განსხვავებული იყო სტროფების სტრუქტურაც. საკითხმა ძალიან დამაინტერესა და გადავწყვიტე, რომ საგანგებო სემინარი ჩამეტარებინა ამ თემაზე. დავინყეთ სხვადასხვა ენაზე არსებული თარგმანების შედარება, პარალელების გავლება; გვანტერესებდა ინფორმაციული სტრუქტურის კვლევა და რუსთაველის მეტაფორიკის შედარება თარგმანებში – ესა თუ ის მეტაფორა როგორ არის გადასული ამა თუ იმ ენაზე, ხომ არ არის „ჩანამატები“ თარგმანებში. სემინარის ჩატარების პროცესში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თარგმანის პრობლემების კვლევისთვის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები საუკეთესო საშუალება, ამოუწურავი სალაროა, მითუმეტეს, რომ ეს ენები სხვადასხვა ენათა ოჯახს ეკუთვნის და განსხვავებულ ენობრივ და სტრუქტურულ საშუალებებს იყენებს მხატვრული სიტყვის გადმოსაცემად. შედარებები მრავალმხრივი დასკვნის საშუალებას გვაძლევს. ჩვენი

მიზანია, განვაავითაროთ ზუსტი მეთოდოლოგიით აღჭურვილი ისეთი პროგრამული საშუალებები, რომ ტექსტების შედარების შემთხვევაში ემპირიულად დადგინდეს ორიგინალის ტექსტთან სიახლოვე და მეტაფორულობის ხარისხი. ასევე მნიშვნელოვანია ავტომატურად გამოავლინოთ განსხვავებები ორიგინალსა და თარგმანს შორის, რათა დადგინდეს, რას ეფუძნება მთარგმნელის ესა თუ ის გადაწყვეტილება, რა შეინარჩუნა და რაზე თქვა უარი მთარგმნელმა, რა იყო მისთვის მთავარი, რა ხარისხით მოხდა მეტაფორული მეტყველების, აზროვნების გადატანა პოეტოლოგიის და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის თვალსაზრისით.

- რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ამირებს გააძლიეროს უცხოეთში მოქმედი ქართველოლოგიური ცენტრების მხარდაჭერა... ძირითადად, რა პრობლემებს აწყდებით საქმიანობისას? როგორ გესახებათ რუსთაველის ფონდთან უფრო აქტიური თანამშრომლობა?

- 2002 წლიდან, მას შემდეგ, რაც ფრანკფურტის უნივერსიტეტში კავკასიოლოგიის დეპარტამენტი არსებობს, ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ქართველოლოგია თანამედროვე კვლევის მეთოდებზე გადაგვეყვანა; უკანასკნელ წლებში ჩვენ თვალწინ გაჩნდა ციფრული ქართველოლოგიის შექმნის აუცილებლობა. ეს XXI საუკუნის ქართველოლოგიაა და ცოტა უფრო მეტია, ვიდრე გასული საუკუნის ქართველოლოგია. ჩვენი მიზანია ციფრული ქართველოლოგიის ცენტრის გახსნა ფრანკფურტის უნივერსიტეტში და ციფრული რუსთაველოლოგია არის პირველი ნაბიჯი ამ მიზნისკენ. საჭიროა დიგიტალური ქართველოლოგიის კონცეფციის შექმნა, უნდა განისაზღვროს დისციპლინა, მეთოდები, კვლევის ობიექტი – ციფრული ქართველოლოგია ჩვენ უფრო ფართოდ გვესმის, ვიდრე მხოლოდ ენათმეცნიერება. მაგალითად, „ქართლის ცხოვრება“ ისტორიული ნაწარმოებია, მაგრამ ჩვენთვის ის ლინგვისტური ტექსტია. შესაბამისად, ის ინტერდისციპლინურ რესურსს წარმოადგენს. დიგიტალურ ქართველოლოგიაში, ლინგვისტიკის გარდა, უნდა გაერთიანდეს ისტორიოგრაფია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია და სხვა დარგები.

ჩვენ ვთხოვეთ რუსთაველის სამეცნიერო ფონდს, შესაძლებლობის ფარგლებში საწყის ეტაპზე დაგვეხმაროს ფრანკფურტის უნივერსიტეტში ციფრული ქართველოლოგიის განვითარებაში, მანამ, სანამ მოხდება მისი შეტანა



რუსთაველის კაბინეტის ბაზნა ფრანკფურტის უნივერსიტეტში აღასტურებას, რომ ეს არის ქართველოლოგიის ბენიშნალოვანი ცენტრი.

საერთაშორისო მიმოქცევაში; ქართველოლოგიის ინტერნაციონალიზაცია აუცილებელია, რომ მეცნიერების ოკეანეში ღირსეული ადგილი მოვიპოვოთ; რუსთაველის პოემის ციფრულ მატარებელზე გადატანა მსოფლიო მეცნიერებაში ფართოდ გაგვიღებს კარს.

რაც შეეხება მეორე საკითხს, ეს არის ქართველოლოგიაში საერთაშორისო სტანდარტების სამეცნიერო შურნალის საკითხი. წინათ არსებობდა ერთადერთი საერთაშორისო უცხოენოვანი შურნალი „გეორგია“, რომელიც ქართველოლოგიურ კვლევებს ასახავდა და რომელსაც იენის უნივერსიტეტში გერმანელი ქართველოლოგი ჰაინც ფენრიხი კურირებდა; დღეს იენის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის პოზიციები საკმაოდ შესუსტდა, კავკასიოლოგია მიუერთდა სლავისტიკას. ეს შურნალიც წლების განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა... თუ საწყის ეტაპზე რუსთაველის ფონდი დაგვეხმარება, ჩვენ მზად ვართ, გამოვცეთ მაღალრეიტინგული რეფერირებადი შურნალი, რითაც ქართველ მეცნიერებს საშუალება მივცემთ, უცხოეთში უპრობლემოდ გამოაქვეყნონ თავიანთი კვლევები. ქართველოლოგიური მიმართულების დოქტორანტებს მუდმივად აქვთ ეს პრობლემები, არადა, თუნდაც რუსთაველის ფონდის პროგრამებსა და კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ნაშრომების გამოქვეყნება მაღალრეფერირებად შურნალებში; ასეთ საერთაშორისო შურნალებში კი დიდი კონკურენციაა და რთულია ნაშრომების გამოქვეყნება. ვფიქრობთ, მაღალრეიტინგული ქართველოლოგიური შურნალი უცხოეთში უნდა არსებობდეს; ეს ჩვენი ღირსების საქმეა და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩვენი მეცნიერების ინტეგრირებას შეუწყობს ხელს.